

შპს დელოიტი და ტუში

მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)
მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 მაისით დასრულებული
წლისათვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში	9
4. შემოსავალი.....	10
5. სხვა შემოსავალი.....	10
6. ძირითადი საშუალებები	10
7. არამატერიალური აქტივები.....	11
8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	11
9. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	11
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	11
11. გადავადებული შემოსავალი.....	12
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
13. მოკლევადიანი ვალდებულებები.....	12
14. კურსთა შორის სხვაობა, მოგება/(ზარალი), წმინდა.....	12
15. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	13
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
17. შემდგომი მოვლენები.....	14

შპს დელოიტი და ტუში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
შემოსავალი	4	9,308,305	7,176,381
სხვა შემოსავალი	5	293,081	75,842
სულ შემოსავალი		9,601,386	7,252,223
ხელფასი და სხვა სარგებელი		(6,154,806)	(6,135,322)
ცვეთა და ამორტიზაცია	6-7	(131,570)	(101,808)
საოპერაციო იჯარის ხარჯი		(376,330)	(490,643)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(1,286,003)	(968,013)
მეკავშირე საწარმოს გაყიდვიდან მიღებული ზარალი		-	(177,910)
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა	14	366,810	(510,548)
მოგება /(ზარალი) მოგების გადასახადამდე		2,019,487	(1,132,021)
მოგების გადასახადი		-	(243,988)
წლის მოგება/(ზარალი)		2,019,487	(1,376,009)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)		2,019,487	(1,376,009)

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი თავართქილაძე
დირექტორი

20 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

თამარ შალაშვილი
ფინანსური მენეჯერი

20 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

5-14 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 მაისი 2024	31 მაისი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	6	90,489	93,821
არამატერიალური აქტივები	7	344,985	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		435,474	93,821
მიმდინარე აქტივები:			
წინასწარ გადახდილი გადასახადები		117,324	146,091
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9	153,014	107,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა მარაგები	10	1,918,643	1,044,269
ფული და ფულის ექვივალენტები	8	771	441
სულ მიმდინარე აქტივები		4,800,459	3,129,895
სულ აქტივები		7,425,685	4,521,578
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		4,828,400	2,808,913
სულ კაპიტალი		4,830,400	2,810,913
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გადავადებული შემოსავალი	11	259,490	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		259,490	-
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	978,489	169,478
მიღებული ავანსები		122,151	132,353
მოკლევადიანი ვალდებულებები	13	1,235,155	1,408,834
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,335,795	1,710,665
სულ ვალდებულებები		2,595,285	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,425,685	4,521,578

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი თევზაძე
დირექტორი

20 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

თამარ შალაშვილი
ფინანსური მენეჯერი

20 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

5-14 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელოიტი და ტუში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
01 ივნისი 2022	2,000	3,200,283	3,202,283
სულ წლის სრული ზარალი	-	(1,376,009)	(1,376,009)
გაუქმებული დივიდენდი	-	984,639	984,639
31 მაისი 2023	2,000	2,808,913	2,810,913
სულ წლის სრული მოგება	-	2,019,487	2,019,487
31 მაისი 2024	2,000	4,828,400	4,830,400

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი თაგართქილაძე
დირექტორი

20 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

თამარ შალაშვილი
ფინანსური მენეჯერი

20 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

5-14 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელოიტი და ტუში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება გადასახადამდე		2,019,487	(1,132,021)
<i>არაფულადი მოგების და ხარჯების კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6-7	131,570	101,808
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საეჭვო ვალების ხარჯი	10	39,249	316,431
მოგება/(ზარალი) კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა	14	(366,810)	510,548
სხვა არაფულადი ვალდებულების შემოსავალი/ხარჯი		85,811	181,423
მეკავშირე საწარმოს გაყიდვიდან მიღებული ზარალი		-	177,910
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება		(1,918)	(11,928)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(243,988)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		1,907,389	(99,817)
ზრდა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებში		(330)	(57)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(829,535)	763,721
ზრდა მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებში		(45,953)	(28,605)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		796,518	(172,231)
შემცირება/(ზრდა) წინასწარ გადახდილ გადასახადებში		28,767	(24,244)
შემცირება მიღებულ ავანსებში		(10,202)	(488)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,846,654	438,279
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(473,223)	(31,220)
შემოსულობები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		1,918	12,455
შემოსულობები მეკავშირე საწარმოს გაყიდვიდან		-	2,118,900
საინვესტიციო საქმიანობაში მიღებული/გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(471,305)	2,100,135
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		-	(1,382,600)
ფინანსურ საქმიანობაში მიღებული ნაღდი ფული, წმინდა		-	(1,382,600)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)		1,375,349	1,155,814
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		295,215	(370,184)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		3,129,895	2,344,265
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		4,800,459	3,129,895

ხელმძღვანელობის სახელით:

გიორგი თავართქილაძე
დირექტორი

20 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

თამარ შადაშვილი
ფინანსური მენეჯერი

20 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

5-14 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „დელოიტი და ტუში“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2001 წლის 02 თებერვალს საქართველოში ქ. თბილისში და მას მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 204422240. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა და შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აუდიტორული, საგადასახადო, ფინანსური საკონსულტაციო, იურიდიულ მომსახურებები.

2024 და 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობით კომპანიის აქციონერები არიან შემდეგი პირები: AGT Partners Limited-49% აქციონერი, ჯამალ ჰასანოვი-49% და შოთა ნანიტაშვილი-2% აქციონერი.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, City Tower ბიზნეს ცენტრი, ვაჟა ფშაველას გამზირი 70, მე-17 სართული (ფაქტიური 16), თბილისი, საქართველო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პერიოდი არის 1 ივნისიდან 31 მაისამდე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებების და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში მენეჯმენტის მხრიდან შეფასებების გაკეთებას. ის ასპექტები, რომლებიც შეფასების მაღალი ხარისხითა თუ სირთულით გამოირჩევა, ასევე, ის ასპექტები, რომელთა შემთხვევაშიც დაშვებები და შეფასებები ფინანსური ანგარიშგებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია განმარტებულია შენიშვნა # 3.

უწყვეტი საწარმო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტისათვის, ხელმძღვანელობა გონივრულად მოელის, რომ განჭვრეტად მომავალში კომპანიას ექნება ფუნქციონირებისათვის საკმარისი რესურსები. ამდენად, ხელმძღვანელობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საფუძვლად კვლავაც იყენებს უწყვეტი საწარმოს პრინციპს.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში მოქმედი ვალუტით, რომელშიც კომპანია საქმიანობს (შემდგომში „ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს მოქმედი კურსით. ასეთ ოპერაციებზე განხორციელებული ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტაციის შედეგად გამოწვეული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 მაისის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი სავალუტო კურსი ასეთია: 1 ევრო = 3.0259 ლარი (2023 წელს: 1 ევრო = 2.7824 ლარი); 1 აშშ დოლარი = 2.7968 ლარი (2023 წელს: 1 აშშ დოლარი = 2.5919 ლარი). 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

სტერლინგი =3.5572 (2023წელს 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი =3.2204). ამჟამად, ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას არ წარმოადგენს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ვალის ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოანგარიშებისა და საპროცენტო შემოსავლის შესაბამისი პერიოდის გამოყოფის მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სამომავლო ფულადი შემოსავლებს (მათ შორის ყველა საფასური და გადახდილი ან მიღებული ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და სხვა პრემიების ან დისკონტების განუყოფელ ნაწილს) ვალის ინსტრუმენტის სავარაუდო სიცოცხლის განმავლობაში. ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში, პირველადი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და მიმდინარე ანგარიშებზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი მაშინ იქმნება, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად გადასახდელი თანხების ამოღებას.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება რეალური ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. რეალური ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია აქტივის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და ხელმძღვანელობისთვის სასურველ სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები არის შემდეგი:

ავეჯი	5 წელი
კომუნიკაციის და ოფისის აღჭურვილობა	3 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	3 წელი
სატრანსპორტო საშუალება	5 წელი
იჯარის კეთილმოწყობა	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის დარიცხვის მეთოდების გადახედვა და საჭიროებისამებრ სათანადოდ კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მითითება ბოლო საანგარიშო თარიღის შემდეგ განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები, რომლებიც ცალკე არის შეძენილი, თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა.

დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც სავარაუდოდ მოიტანს ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც აღემატება ერთ წელზე მეტი პერიოდის დანახარჯებს, აღიარდება როგორც არამატერიალური აქტივი. შემდგომში კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. დანახარჯები, რომლებიც აუშვებებს ან აფართოებს პროგრამული უზრუნველყოფის მუშაობას მათი თავდაპირველი სპეციფიკაციების მიღმა, აღიარდება როგორც კაპიტალური გაუმჯობესება და ემატება პროგრამული უზრუნველყოფის თავდაპირველ ღირებულებას.

პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები ამორტიზდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც იწყება მაშინ, როდესაც პროგრამული უზრუნველყოფა მზად არის გამოსაყენებლად.

პროგრამული უზრუნველყოფის სასარგებლო მომსახურების ვადა შეფასებულია 3-7 წლით

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ცვეთას ან ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივები ფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე მინიშნება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე ტესტირებას გაივლის. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რა სიდიდითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რისთვისაც არსებობს ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ცვეთას დაქვემდებარებული არა ფინანსური აქტივები, „გუდვილის“ გარდა, გადაიხედება გაუფასურების შესაძლო გაუმჯობესების მიზნით, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებში ცვლილებები მხოლოდ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

შემოსავლი პროფესიული მომსახურებიდან და მისი აღიარება. შემოსავალი მოიცავს ანაზღაურების იმ ოდენობას, რომლის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს კლიენტისათვის შეპირებული მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეთა სახელით მიღებული თანხების (მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადების); გარეშე.

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მხარეები გააფორმებენ კონტრაქტს და იკისრებენ თავისი ვალდებულებების შესრულებას; კომპანიას შეუძლია განსაზღვროს თითოეული მხარის უფლებები და გადასაცემი მომსახურებების ანაზღაურების პირობები; კონტრაქტს გააჩნია კომერციული შინაარსი. სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს იმ ანაზღაურებას, რისი მოთხოვნის უფლებაც მას აქვს კლიენტისათვის გადასაცემი მომსახურებების სანაცვლოდ და როდესაც მასა და კლიენტებს შორის არსებულ თითოეულ კონტრაქტზე დაკმაყოფილება კონკრეტული კრიტერიუმები.

შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის პროპორციულად კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე ფაქტიურად გახარჯული დროის გათვალისწინებით. შემოსავლის თავდაპირველი აღიარება ხდება კონტრაქტის შესაბამისად გაკეთებული ბიუჯეტის თანახმად რომლის კორექტირებაც ხდება პერიოდულად.

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

შემოსავლის, ხარჯებისა და დასრულების ეტაპის წინასწარი შეფასება გადაიხედება გარემოებათა ცვლილების შემთხვევაში. ნებისმიერი ზრდა ან კლება არსებულ შეფასებაში აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალისა ანგარიშგებაში, რომელშიც მენეჯმენტისთვის ცნობილი გახდება ამ კორექტირების გამომწვევ გარემოებათა თაობაზე.

WIP -დარიცხული მისაღები შემოსავალი. WIP წარმოადგენს კონკრეტული სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში მიმდინარე საკონტრაქტო მომსახურებებზე დარიცხულ შემოსავალს, რომელიც გამომუშავებულია კომპანიის მიერ შესაბამისი გარიგების პირობებიდან გამომდინარე. WIP-ის აღიარება ხდება მისი შეფასებული სარეალიზაციო ღირებულებით სამუშაოს შესრულების სტადიის პროპორციულად და მისი დებიტორულ დავალიანებად კლასიფიცირება ხდება კომპანიის მიერ შესაბამისი ინვოისის გამოწერის მომენტში.

იმ შემთხვევაში, თუ სააღრიცხვო თარიღისთვის კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება აღემატება მომხმარებლებისთვის გამოწერილ ინვოისს, მიმდინარე სამუშაოები აღიარდება აქტივად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სააღრიცხვო თარიღისთვის მომხმარებლებისთვის გამოწერილი ინვოისი აღემატება კომპანიის მიერ გაწეულ მომსახურებას, მიმდინარე სამუშაოები აღიარდება ვალდებულებად.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით მხოლოდ მაშინ, თუკი მოხდა მათი გამოცხადება საანგარიშგებო თარიღამდე ან საანგარიშგებო თარიღის დღეს. დივიდენდების გამჟღავნება ხდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება კეთდება საანგარიშგებო თარიღამდე ან მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ან გამოცხადება კეთდება საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება დროითი პროპორციის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადავადებული შემოსავალი. MFC გრანტი - ტექნოლოგია: იმ შემთხვევებში, როდესაც თანხები მნიშვნელოვანია ან მონიტორინგის მიზნებისთვის, მენეჯმენტმა შესაძლოა გამოიყენოს მიღებული გრანტი ძირითადი საშუალებების დაფინანსებისთვის და/ან გარკვეული წინასწარ გადახდილი ხარჯებისთვის, როგორც გადავადებული შემოსავალი და მოახდინოს მისი ამორტიზაცია აქტივის სასიცოცხლო ვადის და/ან წინასწარი გადახდის პერიოდის განმავლობაში.

მიღებული ავანსები. მიღებული ავანსები წარმოადგენს კლიენტისათვის გასაწევი მომსახურებისათვის წინასწარ მიღებულ თანხებს და აღირიცხება თვითღირებულებით რომლის შემოსავალში აღიარებაც ხდება მომსახურების გაწევის პროპორციულად.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით.

მიმდინარე მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს საანგარიშგებო თარიღისათვის ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც 2017 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ყველა საწარმოსათვის, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა. ახალი მოდელით გაუნაწილებელი მოგება ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, განაწილებული კი - 15%-იანი განაკვეთით. წინა მოდელით კომპანიის მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მისი განაწილების სტატუსის მიუხედავად.

მოგების დაბეგვრის ახალი წესი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, რაც კომპანიაზეც ვრცელდება. დასაბეგრი ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ასეთად ჩათვლილ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- ისეთი გაწეული ხარჯები თუ სხვა გადახდები, რაც არ არის კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასოდ მიწოდება ან/და სახსრების გადაცემა; და

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ქართულ ლარში)

- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების მომენტი და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე და წინა პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადახადო ვალდებულებები ფასდება იმ ოდენობით, რომლის მიღებას ან გადახდასაც კომპანია ვარაუდობს საგადასახადო ორგანოებისათვის ან მათგან.

განაწილებული მოგების გარდა სხვა ერთეულებზე დარიცხული გადასახადი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში „სხვა საოპერაციო ხარჯები“.

დაბეგვრის მოდელის ცვლილების გამო, ტერმინი „აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა“ ეკონომიკურ შინაარსს კარგავს და ბასს-ის მე -12 სტანდარტით განსაზღვრული გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ახალ კორპორაციულ საგადასახადო მოდელში არსებობას წყვეტს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადელი დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებში გადაიხდება კლიენტებისათვის მომსახურების მიწოდებისას. ჩასათვლელი დღე-ს ჩათვლა ხდება დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანო დაშვებულად ცნობს დღე-ს ვალდებულების დაფარვას ჩასათვლელ დღე-სთან გადაქვითვის პრინციპით. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება წმინდა თანხით. მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით, დღე-ის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ცალკეულ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია მენეჯმენტის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ გარემოებებში მიიჩნევა გონივრულად. ვარაუდების გარდა, მენეჯმენტი ასევე აკეთებს შეფასებებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. შეფასებები, რომლებიც ახდენს ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომავალ ფინანსურ წელს, არის შემდეგი:

შემოსავლების აღიარება. კლიენტებთან დადებული გარიგებებიდან შემოსავლის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა აკეთებს გარკვეულ შეფასებებს ამ გარიგებების შესრულების სტადიებთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ დროს და გარე ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნება გარიგებების შესრულებისას და კლიენტის მზადყოფნასა და უნარს გადაიხადოს თანხა გაწეული მომსახურებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვები ეფუძნება დაშვებებს დეფოლტის რისკისა და მოსალოდნელი ზარალის განაკვეთების შესახებ. კომპანია იყენებს განსჯას ამ დაშვებების გაკეთებისას და გაუფასურების გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემების შერჩევისას, კომპანიის წარსულ ისტორიაზე, არსებულ საბაზრო პირობებზე და ასევე, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მომავლთან დაკავშირებული შეფასებების საფუძველზე.

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ქართულ ლარში)

4. შემოსავალი

	2024	2023
აუდიტორიული მომსახურება	3,512,429	2,220,750
სხვა არააუდიტორიული მომსახურება	5,894,844	4,955,631
WIP შესწორება	(98,968)	-
მთლიანი შემოსავალი	9,308,305	7,176,381

5. სხვა შემოსავალი

	2024	2023
IT სერვისის მომსახურების მიწოდება დელოიტის სხვა კომპანიებზე	104,161	-
შემოსავალი გრანტით	93,587	-
საპროცენტო შემოსავალი	40,118	51,525
ძირითადი საშუალებებიდან მიღებული მოგება	1,918	-
შემოსავალი იჯარისგან	-	5,518
სხვა შემოსავალი	53,297	18,799
სულ სხვა შემოსავალი	293,081	75,842

6. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი , საოფისე და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალება	იჯარის კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება 2022 წლის 1 ივნისი	502,155	339,435	44,369		885,959
შემოსვლა	3,945	4,670	-	22,605	31,220
გასვლა	(62,102)	(42,622)			(104,724)
თვითღირებულება 2023 წლის 31 მაისს	443,998	301,483	44,369	22,605	812,455
შემოსვლა	13,645	57,095	-	-	70,740
გასვლა	(14,416)	(568)	-	-	(14,984)
თვითღირებულება 2024 წლის 31 მაისს	443,227	358,010	44,369	22,605	868,211
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 1 ივნისის	445,769	230,885	44,369	-	721,023
წლის დარიცხვა	41,650	60,158	-		101,808
გასვლა	(61,575)	(42,622)	-	-	(104,197)
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 მაისს	425,844	248,421	44,369		718,634
წლის დარიცხვა	11,260	58,291	-	4,521	74,072
გასვლა	(14,416)	(568)	-		(14,984)
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 მაისს	422,688	306,144	44,369	4,521	777,722
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 მაისს	18,154	53,062	-	22,605	93,821
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 მაისს	20,539	51,866	-	18,084	90,489

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ქართულ ლარში)

2024 და 2023 წლის 31 მაისის მდგომარეობით, სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების ღირებულება, რომლებიც ჯერ კიდევ გამოიყენება, შეადგენდა შესაბამისად 701,106 და 542,119 ლარს.

7. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება 2022 წლის 31 მაისს	32,748
თვითღირებულება 2023 წლის 31 მაისს	32,748
შემოსვლა	402,483
თვითღირებულება 2024 წლის 31 მაისს	435,231
დაგროვილი ამორტიზაცია 2022 წლის 31 მაისს	32,748
დაგროვილი ამორტიზაცია 2023 წლის 31 მაისს	32,748
წლის დარიცხვა	57,498
დაგროვილი ამორტიზაცია 2024 წლის 31 მაისს	90,246
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 მაისს	-
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 მაისს	-
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 მაისს	344,985

402,483 ლარის ოდენობის შემოსვლა არის SAP S/4 Hana დანერგვის ღირებულება, რომელმაც ჩაანაცვლა სააღრიცხვო პროგრამული უზრუნველყოფა ორის მენეჯერი.

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.

	31 მაისი 2024	31 მაისი 2023
საბანკო ანგარიშები		
ლარში დენომინირებული	289,415	80,795
აშშ დოლარში დენომინირებული	4,384,503	2,954,868
ევროში დენომინირებული	15,622	21,960
გირვანქა სტერლინგში დენომინირებული	110,808	71,838
თურქულ ლირაში დენომინირებული	111	-
ფული სალაროში	-	434
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	4,800,459	3,129,895

9. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები მოიცავს წინასწარ გადახდილ თანხებს პროფესიული მომსახურებისთვის, ოფისის იჯარას, საწვავს, სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკას, დაზღვევას.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა

	31 მაისი 2024	31 მაისი 2023
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	2,341,388	1,427,765
გაუფასურების რეზერვი	(422,745)	(383,496)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	1,918,643	1,044,269

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში მოძრაობა შემდეგია:

	31 მაისი 2024	31 მაისი 2023
ნაშთი წლის დასაწყისში	(383,496)	(67,065)
დარიცხვა	(39,249)	(316,431)
ნაშთი წლის ბოლოს	(422,745)	383,496

11. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი-MFC (წვერი ფირმების გაერთიანების გრანტი) გრანტი ეხება DTTL-დან MFC გრანტის ფარგლებში მიღებულ თანხას SAP S/4 Hana დანერგვისთვის, რომელიც გაწეული იყო 2024 წლის მაისით დასრულებული წლის განმავლობაში.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 მაისი 2024	31 მაისი 2023
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები დელოიტის წვერი ფირმების მიმართ	969,483	158,374
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9,006	8,388
გადასახდელი ხელფასები	-	2,716
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	978,489	169,478

13. მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 May 2024	31 May 2023
დარიცხული ვალდებულებები	910,440	792,401
WIP	272,967	616,433
გადავადებული შემოსავალი	51,748	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,235,155	1,408,834

14. კურსთა შორის სხვაობა, მოგება/(ზარალი), წმინდა

	31 May 2024	31 May 2023
საბანკო ანგარიშების გადაფასებიდან მიღებული საკურსო სხვაობა, წმინდა	295,215	(370,184)
სავაჭრო მოთხოვნების გადაფასებიდან მიღებული საკურსო სხვაობა, წმინდა	84,088	(166,133)
სავაჭრო და სხვა ვალდებულების გადაფასებიდან მიღებული საკურსო სხვაობა, წმინდა	(12,493)	25,769
სულ საკურსო სხვაობა მოგება/(ზარალი), წმინდა	366,810	(510,548)

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
პროფესიულ საკონსულტაციო და ტექნოლოგიების მომსახურების საფასური	835,616	386,763
პროფესიული განათლების ხარჯები	102,692	84,367
პროფესიული დაზღვევის ხარჯები	89,397	128,453
სხვა გასართობი ხარჯები	40,618	29,112
საექვო ვალდების ხარჯი	39,249	316,431
კომუნიკაციის ხარჯი	28,750	31,933
საოფისე და დასუფთავების ხარჯები	25,729	19,906
მარკეტინგის ხარჯები	12,689	874
IT ხარჯები	11,557	3,350
საბანკო ხარჯი	9,712	-
საწევრო ხარჯები	8,510	17,844
ბეჭდითი ხარჯები	6,484	10,151
მივლინების ხარჯი	4,682	27,839
დაქირავების ხარჯები	1,559	1,622
ბენზინის ხარჯები	1,522	21,831
საგადასახადო ხარჯი(სარგებელი)	575	-203,470
უიმედო ვალდების ხარჯი	-	38,564
სხვა ხარჯები	66,662	52,443
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	1,286,003	968,013

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, დაკავშირებულად განიხილება, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია განახორციელოს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებულ მხარესთან თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის ეკონომიკურ შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება განახორციელონ ისეთი ტრანზაქციები, რომლებსაც არ განახორციელებდნენ არადაკავშირებული მხარეები, და დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებით და თანხებით, როგორც ეს არადაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებებისას მოხდებოდა. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების ბუნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დავუშვათ, რომ ისინი განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ კომპანიის აქციონერები და ყველა სხვა კომპანია, რომლებშიც ამ აქციონერებს, ინდივიდუალურად ან ერთობლივად, აქვთ მკონტროლებელი წილი. ქვემოთ მოცემული მონაცემები ასევე მოიცავს ნაშთებს და ტრანზაქციებს Deloitte-ის გლობალური ქსელის ყველა სხვა წევრ ფირმასთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამართლებრივად განცალკევებული და დამოუკიდებელი სუბიექტები არიან.

	1 ივნისი 2023- 31 მაისი 2024	1 იანვარი 2023- 31 მაისი 2023
დაკავშირებული მხარეებიდან მიღებული შემოსავალი	3,967,901	1,024,701
დაკავშირებულ მხარეებთან გაწეული ხარჯები	788,665	299,215
	31 მაისი 2024	31 მაისი 2023
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	1,680,129	591,663
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	969,483	158,374

შპს დელოიტი და ტუში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 მაისით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)

(ქართულ ლარში)

17. შემდგომი მოვლენები

2025 წლის 20 თებერვალს გამოცხადდა გაუნაწილებელი მოგებიდან 2,800,000 ლარის ოდენობის დივიდენდების განაწილება.